

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ.ვანი თავისუფლების N65

7 თებერვალი 2018 წელი

12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, დავით ხარბეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვტიძე, ამირან ტალახაძე, ეთერ ჭიჭინაძე, გიგა გოგიბერიძე, აპოლონ რამიშვილი.

დასწრების ფურცელი თან ერთვის / დანართი: N1/

საკვატო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: ვლადიმერ ჭვალაძე, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი - **მიხეილ სვანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ფენინკტონურით დავადებულთათვის ყოველთვიური დახმარების თანხის გაზრდის შესახებ.

მომხს: /რამაზ არველაძე/

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა რამაზ არველაძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ფენინკუტონურიით დავადებულთათვის ყოველთვიური დახმარების თანხის გაზრდის შესახებ და განმარტა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის ეთერ ჭიჭინაძისა და ფრაქციის წევრების ინიციატივით ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სახელზე შემოვიდა განცხადება, რომ ფენინკუტონურიით დავადებულთა ბავშვებზე თანხის მიცემა 100 ლარის ნაცვლად გახდეს 200 ლარი.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი მიხეილ სვანაძე, რომელმაც განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ფენინკუტონურიით დავადებულთა ბავშვების თანხის გაზრდა წლიურად შეადგენს 3600 ლარს. ეს თანხა ჩემი აზრის არ არის ისეთი დიდი, რომ ვერ შევძლოდ დავკმაყოფილებ, სულ ასეთი დავადებული ბავშვი ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში არის სამი.

სხდომის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ მიმართა კითხვით საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ივანე მამფორიას, წარმოდგენილ საკითხზე თუ მოიძებნება თანხა ბიუჯეტში?

ვანომ განმარტა, რომ როდესაც შევა ბიუჯეტში ცვლილება ჩვენ იმ დღესვე ავსახავთ წარმოდგენილ თანხას და დავაკმაყოფილებთ აღნიშნულ საკითხს.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ განცხადებას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ფენინკუტონურიით დავადებულთათვის ყოველთვიური დახმარების თანხის გაზრდის შესახებ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

მომხრე-8

წინააღმდეგი- არცერთი

დანართი /2/

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე :

რამაზ არველაძე